ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში

და საქართველოში

მოამზადა მე-10 კლასის მოსწ.
დ ინასარიძე

თვალი გადავავლოთ რომის ისტორიას იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობის გავრცელება დაიწყო. ამ დროისთვის იმპერიამ ძალაუფლებისა და ძლიერების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. დაიქვემდებარა თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიო. რომის მოქალაქეობა უდიდეს პატივად ითვლებოდა. ყველა ქვეყნიდან მიედინებოდა სიმდიდრეთა ნაკადი მსოფლიოს ამ უდიდეს დედაქალაქში. მაგრამ მთელი ამ ბრწყინვალების მიუხედავად, რომის მცხოვრებთა სულიერი მდგომარეობა უკიდურესად სავალალო იყო.

იმ დროის ისტორიკოსთა გადმოცემები გვიხატავს იმპერიაში გამეფებული გარყვნილების, სისასტიკის, ყოველგვარი ზნეობრივი კანონის სრული უგულებელყოფის შემზარავ სურათს. კლაუდიუსების იმპერატორობის ხანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა რომისთვის. რელიგია,რომელიც ამ პერიოდში ვრცელდებაკაცობრიობას აუწყებს ახალი მორალური ღირებულებების დამკვიდრებას.უზარმაზარ იმპერიაში მხცოვრებ ხალხს პოლიტიკური იდეალების გარდა კიდევ "სხვა რამ" ესაჭიროებოდა და "ეს სხვა რამედ" ქრისტიანული მოძღვრება იქცა.

თავდაპირველად ქრისტიანობამ ღარიბ და უბრალო ადამიანებში დაიწყო გავრცელება და საკმაოდ დიდხანს წარმართული საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა. დიდხანს ქრისტიანობას იუდეურ სექტად აღიქვამდნენ და მისდამი მაინცდამაინც კეთილად არ იყვნენ განწყობილი, თუმცა არც აშკარა მტრობას ამჟღავნებდნენ.

რომის იმპერატორები დაუნდობლად დევნიდნენ ქრისტიანებს. იმპერატორმა ნერონმა 64 წლის ზაფხულში რომში ხანძრის გაჩენა ქრისტიანებს დაბრალა და ამის გამო ბევრი მათგანი დასაჯა.

მათ შორის პეტრე მოციქულს სდევნიდა განსაკუთრებით.პეტრე მოციქულმა ღირსად არ მიიჩნია თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო და ითხოვა თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე.

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა იმპერატორი დიოკლეტიანე(244-311). მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით, რომის იმპერიის ტერიტორიაზე ქრისტიანული ღვთისმსახურება სასტიკად იკრძალებოდა. მისი მსხვერპლი ათასობით ქრისტიანი გახდა

ქრისტიანების დევნა რომში

მეოთხე საუკუნის დამდეგს ქრისტიანული თემების სათავეში იდგნენ ეპისკოპოსები. ეპისკოპოსი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ზედამხედველს ნიშნავს. ეპისკოპოსები ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს აწესრიგებდნენ, წარმართავდნენ და ზედამხედველობას უწევდნენ ქრისტიანულ თემებს. ეპისკოპოსთა კრებები ქრისტიანული მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო.

306 წელს ბიზანტიის იმპერატორი გახდა კონსტანტინე 1. მის სახელს უკავშირდება მომავალი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლის დაარსება.

ახალი ქალაქი კონსტანტინე დიდმა ბოსფორის სრუტეზე, ევროპისა და აზიის შესაყართან, ძველი ბერძნული პოლისის ბიზანტიონის ადგილზე დაარსა და 330 წელს რომის იმპერატორის რეზიდენციად გამოაცხადა.

კონსტანტინე დიდმა 313 წელს ქალაქ მილანში გამოსცა ცნობილი ბრძანებულება”მილანის ედიქტი”, რითაც პირველად ქრისტიანული რელიგია ნებადართულ რელიგიად გამოაცხადა. მისივე იმპერატორობის დროს, 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოწვეული იქნა პირველი საეკლესიო კრება, რომელსაც თვით კონსტანტინე ესწრებოდა. ამიტომ ეს წელი ითვლება რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების

კონსტანტინე დიდი

კონსტანტინეს ნათლობა. რაფაელ სანტი.ვატიკანი

395 წელს რომის იმპერია ორად გაიყო-დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერიად. აღმოსავლეთ იმპერიას ბიზანტია ეწოდა. ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი გახდა. უზარმაზარი იმპერია მოიცავდა ტერიტორიებს: ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, ეგვიპტეს, რომის ყოფილ სამფლობელოებს აზიაში-მცირე აზიას, სირიას, პალესტინას, მესოპოტამიასა და სომხეთის ნაწილს, ლაზიკას. ამ უზარმაზარ იმპერიაში სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა: ბერძნები, ებრაელები, სლავები, სირიელები...ბიზანტიის სახელმწიფო ენა თავდაპირველად ლათინური იყო, მოგვიანებით იგი ბერძნულმა შეცვალა.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნიდანვე იწყება და პირველ მოციქულებად თვით იესო ქრისტეს მოწაფეები წმინდა ანდრია პირველწოდებული,სვიმონ კანანელი და სხვა გვევლინებიან.
საქართველოში არსებობდა,განსაკუთრებით ქალაქებში
წვრილი ქრისტიანული თემები.

ქართლის გაქრისტიანება წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული. წმინდა ნინო წარმოშობით კაბადოკიიდან იყო იგი ქრისტეს რწმენით აღზარდა მოხუცმა ქალმა, სარა ნიაფორმა. სწორედ მისაგან შეიტყო ნინომ, რომ ქრისტეს კვართი დაკრძალული იყო წარმართთა ქვეყანაში — ქართლის დედაქალაქ მცხეთაში.

წმინდა ნინო საცხოვრებლად მცხეთაში დარჩა, სადაც ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. ამას გარდა, წმინდა ნინომ ავადმყოფების განკურნებითაც გაითქვა სახელი. მისი მოღვაწეობის შესახებ სამეფო კარზეც შეიტყვეს.

ამ დროს საქართველოში მირიან მეფე და ნანა დედოფალი ცხოვრობდნენ და ქართველები ჯერ ქრისტიანები არ იყვნენ და მეფეც და ხალხიც სხვადასხვა კერპებს სცემდნენ თაყვანს.

განსაკუთრებით კი არმაზის კერპს მიაგებდნენ პატივს.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ ნანა დედოფალი მძიმედ ავად გამხდარა. მისი განკურნება ვერავინ შესძლო, მაგრამ წმინდა ნინომ ყველასთვის მოულოდნელად დედოფალი სასწაულებრივად განკურნა.
თუმცა დედოფლის განკურნება საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეფე მირაინს თავის რწმენა დაეტოვებინა. დედოფალი კი განკურნების დღიდან გვერდიდან არ მოშორებია ნინოს.მირიანი ეჭვით უყურებდა ახალ რელიგიას სანამ სასწაულის მოწმე თვითონ არ გახდა.

ამის შემდეგ მეფემ იწამა ნინოს სარწმუნოების ჭეშმარიტობა და თვითონ დაიწყო ზრუნვა თავის ქვეყანაში გასავრცელებლად. საქართველო ოფიციალურად გაქრისტიანდა ახალი წყაროების მიხედვით 326 წელს.

გმადლობთ
ყურადღებისათვის